# იმერეთი

№ 15

წელიწადი მეორე.

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“

შაბათი 24 იანვარი 1915 წ.

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ. დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 7 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6 იანვრიდან გამოდის ყოველდღიური

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„იმერეთი“.

გაზეთი გამოდის ყოველდღე გარდა კვირა-უქმეების შემდეგი დღეებისა.

გაზეთი ღირს:

1 წლ.—7 მ. 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მ. 10 შ., 1 თვით—4 აბ. საზღვარგარეთ—ორჯერ მეტი. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება: გამოწერის დროს 3 მ. 1 აპრილს 2 მ. და 1 ივნისს 2 მ.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქუჩა, სახლი ბ. ა. გოგიბედაშვილისა.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Кутаисъ, Редакція „ИМЕРЕТИ“.

რედაქციის კანტორაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—2 საათ., საღამოს 6—8 საათამდი.

რედაქცია სთხოვს კორესპონდენციების ავტორებს სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე გარკვევით. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მისამართი: Кутаисъ, ред. „Имерети“ почт. ящ. № 39.

თ-დი დიმიტრი სიმონის ძე მიქელაძე ოჯახობით გულითადი მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ, გამოსვენება ქ. კაგიზმანში გარდაცვალებულის ძვირფასი სიძის

ერმილე სოფრომის ძის ხუნდაძისა

ქუთ. საკრებულო ტაძრიდან საფიჩხიის სასაფლაოზე დასაკრძალავათ, დანიშნულია კვირას, 25 იანვარს, ნაწირვებს, დღის 12 საათზე.

1—1—20

კვირას, 25 იანვარს, დღის 3 საათზე. ქუთაისის საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის პანაშვიდი

ლიუბა გერასიმეს ასულის მიქელაძის

სულის მოსახსენელათ. რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მწუხარებაში მყოფნი განსვენებულის მეუღლე; ლავრენტი კოსტანტინეს ძე, დედა ირინე ივანეს ასული რაევისა, შვილები: კნ. ნადეჟდა დადიანისა, ნიკოლოზ, ალექსანდრა კარსკისა, ნინო, თამარ და გიორგი; დები: ვერა გერასიმეს ასული ბელაკონიევისა, ელენე გერასიმეს ასული გრუდიშევისა, ძმა—ნიკოლოზ რაევი, სიძეები თავადი მიხეილ პლატონის ძე დადიანი და სტეფანე ლიუდვიგის ძე კარსკი. 2—1 19.

უზომო მწუხარებასა შინა მყოფი ქვრივი ნიტალია დიმიტრის ასული ხუნდაძისა შვილებით, ძმები მიცვალებულისა ვასილ და ლუკა სოფრომის ძენი ხუნდაძეები ოჯახობით დები აქიფო (სოფიო) ელიაძისა და ბაბილინა კოპალიძისა აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართა სტავროპოლის დრუჟინის უფროსი ექიმის კოლლეჟსკის სოვეტნიკის

ერმილე სოფრომის ძის ხუნდაძის

გარდაცვალებას. ცხედარს გამოასვენებენ კვირას, 25 იანვარს, საკათედრო ეკლესიიდან, წირვის გამოსვლის შემდეგ, და დაკრძალულ იქნება საფიჩხიის სასაფლაოზე.

1—1—21

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელისა და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე კალენდრები 1915 წლის: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის ომის ქარტები დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი.

გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ. თ.

ვიქტორ ქავთარაძის წარმოდგენა

შაბათს, 24 იანვარს, ქალაქის თეატრში ვლად. ალექსი მესხიშვილის მონაწილეობით, ქართ. დრამატ. დასის მიერ წარმოდგენილ იქნება ცნობილი პიესა

ავათმყოფი ხალხი

დრ. 2 მოქ. თარგ. მაჭავარიანისა.

რობერტის როლს შეასრულებს ვლ. ალექ. მესხიშვილი

ყოზოს ოინები

ერთ მოქმედებ. ვოდევილი ყოზოს როლს შეასრულებს ნემო.

დედის ერთა

მხიარული ვოდევილი 1 მოქმ. ვალ. გუნიასი.

იოთამის როლს შეასრულებს ვალ შალიკაშვილი.

მონაწილეობს მთელი დასი.

ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

გამგე ვიკ. ქავთარაძე. რეჟისორი ვლ. ალექსი მესხიშვილი.

ქუთაისი.

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიამ

დაბეჭდა და გამოსცა გასაყიდათ

საქართველოს ისტორია,

მოკლე სისტემატიური კურსი მოზრდილთათვის. უუძველესი და ძველი ისტორია საისტორიო ქარტით. შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. ფასი ყდით 35 კაპ. საწყობი იმყოფება ქუთაისში—გამომცემელთან, თფილისში ქ. შ. წ. კითხ. გამ. საზოგად. მაღაზიაში. თ.

ამერიკული მწარე ვაზი (rupestris),

მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასად, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.

ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია

მ. ზ. კვინიხიძის.

უფლებებით.

თფილისის ქუჩ. და ობორინის შესახვევში კუთხე. მოწაფეების მიღება დაიწყო 12 იანვრიდან. სწავლის ფასი უფლების გამო არ მომატებია. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სასწავლებელს აქვს საანბანო განყოფილებაც, რომელშიც მიიღებიან მოუმზადებელი ბავშები. თ. 7.

გამოვიდა და იყიდება

ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიებში

თხზულებანი

ჯაჯუ ჯორჯიკიასი.

ფასი 60 კაპ. წ.

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასაყიდლად

პროფ. ივ. ჯავახიშვილის

„ქართველ ერის ისტორია“

წიგნი პირველი და მეორე. ორივეს ფასი 3 მან.

3—3

კბილის ექიმები.

მენაღარიშვილი და ტრუფანოვა

დროებით

ბათუმიდან გადმოვიდნენ

ქ. ქუთაისში.

თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6.

არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას.

აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამოდენიმე სეანსზე ახალი საშვალებით.

სამკურნალო

კაბინეტი ელექტრონისა და სინათლის

ექიმის გაბრიელ იოსების ძის გოკიელის შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფის მიღება დილის 9—12 საათ. სალ. 6 8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. (თ).

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე დილით 12—2 საათ. სალამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

## ქუთაისი 24 იანვარი.

სოციალიზმი მაშვრალთა იდეალოგიაა. იგი გამოწვეულია საზოგადოების ერთი ნაწილის უმწეო მდგომარეობით და აზრათ აქვს მოსპოს თანამედროვე სოციალური უთანხმოების წარმომშობი ძირითადი მიზეზები.

ამ მოძღვრების მიზანი იმდენათ კეთილშობილური და ჰუმანიურია, რომ შეუძლებელია მას თანაგრძნობით არ მოეკიდოს კაცობრიობის და ნამეტნავათ ტანჯულთა და დავრდომილთა კეთილდღეობისა და წარმატების მსურველი ადამიანი. თუ ჩვენ აშკარათ უარვყოფთ სოციალურ თვალსაზრისს საზოგადოების აწმყო და მომავალ სოციალურ ცხოვრების მოწესრიგების საკითხში, ეს იმიტომ კი არ მოგვდის, რომ არ გვწადია ჩაგრულთა დახმარება, ახლანდელ ცხოვრების პირობების მიზეზით შევიწროებულ და დაბეჩავებულ ხალხის შემწეობა და წელში გასწორება. პირიქით, ჩვენი მუდმივი სურვილია, რაც შეიძლება გაძალოვნდეს და გალონიერდეს, მეტ ნივთიერ და კულტურულ წარმატების გზას დაადგეს ჩვენი ერის დიდი უმრავლესობა—მშრომელი ხალხი. ეს მით უფრო უსაჭიროეს საქმეთ მიგვაჩნია, რომ უამისოთ, ხალხის ნივთიერ და კულტურულ ცხოვრების გაღონიერების გარეშე, ყოვლათ მოუხერხებელია ჩვენი უპირველესი მიზნის—ეროვნული ცხოვრების—წარმატება-აღონძინების საკითხის მოგვარება.

მეორე მხრით ხალხის ყოველმხრივი წარმატება, მისი ცხოვრების წესიერი და ნორმალური გაფურჩქვნა-განვითარება შეუძლებელია მტკიცე და საღ ეროვნულ ორგანიზაციის გარეშე.

ამნაირათ, ხალხის ეკონომიურ-კულტურული დაწინაურება უაღრეს საჭიროებას წარმოადგენს მკვიდრ ეროვნულ ცხოვრების შექმნისათვის და, მეორეს მხრით, ძლიერი ეროვნული ორგანიზაცია აუცილებელი პირობაა sinequa non ხალხის ყოველმხრივი დაწინაურება, მისი ნივთიერი და სულიერი ცხოვრების საღი და დაუბრკოლებელი განვითარება. სწორეთ ამ თვალსაზრისით შეიძლება ახსნა და გაგება ჩვენი დიდებული მამულიშვილის,

დროებით ქუთაისში მყოფი ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებნი, ყველა წოდებისა, დამწუხრებულნი ბრძოლის ველზე გმირულად მოკლულის

## პოდპოლკოვნიკის ვლადიმერ ტარასის ძის ახვლედიანის

უდროოთ დაკარგვით, ამით აცხადებს, რომ კვირას, 25 ამ თვეს, დღის თორმეტ საათზე, გარდახდილ იქნება პანაშვიდი მთავარანგელოზის ეკლესიაში მისის სულის მოსახსენებლათ.

ილია ჭავჭავაძის თავგანწირული ბრძოლისა არსებულ სოციალურ ინსტიტუტის, ბატონყმობის წინაამდეგ, რომლის მოსპობა აუცილებელ საჭიროებას წარმოად გენდა, მის უღელ ქვეშ მყოფ გლეხკაცობის წელში გასასწორებლად, ურომ ლისოთ შეუძლებლათ მიაჩდა მას ქართული ეროვნული ცხოვრების გამოფხიზლება და აღორძინება.

კაცობრიობის დღევანდელ გულშემზარავ და უმაგალითო შეხლა-შეტაკებაშიც არ შეიძლება დაფარვა იმ დიადი მიზეზისა, რომელმაც გამოიყვანა სამარ ასპარეზზე ევროპის და აზიის კონტინენტის ყველა უძლიერესი სახელმწიფონი.

რაც უნდა გვარწმუნონ, რომ დღევანდელი საკაცობრიო ჟიდილი გამოწვეულია მხოლოდ და მარტო ეკონომიურად გაბატონებული კლასის, ბურჟუაზიის, უძირო მადის დაკმაყოფილების სურვილით, ჩვენ მაინც იმ აზრისა ვართ, რომ თვითეულ მებრძოლ სახელმწიფოს შემადგენელ ყველა ელემენტის დაუჯერებელი ერთსულოვნებით გამოსვლა და საარაკო თავგანწირული ბრძოლა მტერთან, შეუძლებელია მომხდარიყოს მარტოოდენ ერის უმცირესობის, ბურჟუაზიულ კლასის, მერკანტიული ლტოლვილების მეოხებით.

როგორც კერძო პიროვნება ცდილობს გადალახოს ყოველი დაბრკოლება, რომელიც წინ ეღობება მას და ხელს უშლის მოუპოვოს თავის ინდივიდუალურ „მეს“ მაქსიმუმი ბედნიერებისა, აგრეთვე ყოველი ერი, როგორც განსაკუთრებული, სხვა მის მზგავს სოციალურ ორგანიზმიდან განსხვავებული ინდივიდუალური ერთეული, ცდილობს თავისი პირადი ცხოვრების განმტკიცება-გაძლიერებას. ცხადია, რომ თანამედროვე, ამდენი ადამიანის მსხვერპლის მომტანი და გამანადგურებელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოწვეულია ეროვნულ არსებობისათვის ბრძოლით.

ეჭვს გარეშეა, რომ გამარჯვებულ სახელმწიფოს ყველა სოციალური კლასების წარმომადგენელნი თანაბრათ ვერ ისარგებლებენ იმ შედეგებით, რომელიც აუცილებლათ მოჰყვება მის ბრწინვალე გამარჯვებას მტერზე, მაგრამ ისიც ხომ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ გაძლიერებულ და გაფართოებულ სამშობლოში, ამ ძლევა-მოსილ და გამარჯვებულ ერის ყოველ შვილს ეძლევა საშუალება მოიპოვოს ცხოვრების სახსარი, მოაწყოს, როგორც მას სურს პირადი ბედნიერება, უხვად დაეწაფოს საერთო ღონის ძიებით მოპოებულ სასიცოცხლო წყაროს, განდიდდეს თვისი ერის სახელმოხვეჭილ და ძლევა მოსილი სიდიადით.

როგორც ყოველი კერძო პიროვნების ბუნებრივი და მასთან სამართლიანი სურვილია სხვას თავი არ დააჩაგვრინოს, თვით დაწინაურდეს, სხვას აჯობოს და გაუსწროს წ ნ, აგრეთვე ერიც, როგორც სოციალური პიროვნება, მუდამ იმის ცდაში უნდა იყოს, რომ თავი იჩინოს და ისახელოს, სხვაზე უფრო ძლიერი, წარჩინებული, გავლენიანი და დოვლათის მქონე გახდეს.

ყოველმა ადამიანმა, რომელ სოციალურ ჯგუფსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, უნდა ხელი შეუწყოს ერის ამგვარ ბუნებრივ და კანონიერ ლტოლვილებას, რადგანაც ამას მისი პირადი თავმოყვარეობისა, კაცური ღირსების და ამაღლების საქმე მოითხოვს.

ვაგლახ, რომ ჩვენში ბევრს ჯერაც კიდევ ვერ შეუგნია ეს ელემენტარული, ყოველ დაწინაურებულ ერის შვილთა მიერ ნათლათ შეგნებული და აღსარებული საანბანო ჭეშმარიტება.

**ა. თორაძე.**

# ომი.

პეტროგრ. ტელ. სააგენტ.

## რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 19 და 20 იანვარი. ამ დღეებში შესანიშნავი ბრძოლა ხდება ბორჟიმოისა და გუმინის რაიონში, სადაც მტერმა დიდძალ ჯარს და ზარბაზნებს მოუყარა თავი. ენერგიული და შეუპოვარი შეტაკებები, რომლებიც ამ დღეებში ხდებოდა, განირჩეოდა საოცარი სისასტიკით. იერიშებს კონტრ-იერიშები მოსდევდა და ხშირათ საქმე ხელჩართულ ბრძოლამდი მიდიოდა მაგრამ ყოველთვის ვინარჩუნებდით ჩვენს პოზიციებს და მტერს ვაყენებდით დიდ ზარალს. მტერი ჯარს თანდათან უმატებდა, მაგრამ ჩვენ ყველგან ვაჩუმებდით მტრის ბატარეებს. მეზო-ლაბორზე ჩვენმა სახელოვანმა ჯარმა ხიშტებით ამორეკა მტერი თხრილებიდან და ტყვეთ წამოიყვანა 2 შტაბ აფიცერი, 11 აფიცერი და 707 ჯარის კაცი, იხელთა 7 ზარბაზანი და 2 ტყვიის მტყორცნელი, ბელიგრადის რაიონში ბრძოლა გრძელდებოდა, სადაც ჩვენ წინ მივიწევდით. როსლავის რაიონებში მტერი ისევ იერიშებზე გადავიდა, მაგრამ ჩვენ ის მოვიგერიეთ და დავატყვევეთ 11 აფიცერი და 240 ჯარისკაცი. ასე რომ, 20 იანვარს, საღამოს 6 საათამდი, დავატყვევეთ 1000 კაცამდი და სხვაგრარათაც მტერმა დიდი ზარალი ნახა. მარტო ერთ სიმაღლეზე ჩვენ დავითვალეთ 500 მოკლული გერმანელი. დანარჩენ ფრონტებზე მტერს ძლიერი იერიშები მოაქვს, მაგრამ ჩვენი ჯარი იგერებს ყოველ იერიშებს და მტერს დიდ ზარალს აყენებს. ერთ-ერთ ბრძოლაში, მაგალ. 19 იანვარს, ჩვენმა ჯარმა ამოსწყვიტა ხიშტებით მტრის მთელი ბათალიონი. ბრძოლა გრძელდება ამ რაიონის ყველა ფრონტებზე. მარშაროშის ხაზზე საარტილერიო ბრძოლაა.

**პეტროგრადი.** სამი დღის ბრძოლის დროს ტუხოლკის გადასავალთან, გერმანელებმა მრავალი ბათალიონებით იერიში მოიტანეს ჩვენს ორ როტაზე, რომელთაც ერთი სიმაღლე ეკავათ. მერვე იერიშის შემდეგ მტერმა გასტეხა ჩვენი მცირერიცხოვანი რაზმის შეუდრეკელი სიმაგრე და დამკვიდრდა გორაკზე. შტაბს-კაპიტანმა დერგაჩოვმა, რომელიც სარდლობდა ერთ რეზერვის ბატალიონს, დიდის სისწრაფით იერიში მიიტანა გერმანელებზე და უკუაგდო იგინი იმ სიმაღლიდან. ბორჟიმოვთან დატყვევებული გერმანელებ ამბობენ, რომ მთელმა დივიზიამ, რომელიც გერმანელებმა გამოუშვეს ჩვენი პოზიციების ასაღებათ, მიიღო სახელათ „სიკვდილის დივიზია“, რადგან არც ერთი მათგანის დაბრუნებას სარდლები არ ელოდენო. რადგანაც ამ რაიონში ბრძოლა ხდება შეჯგუფულათ — ძალიან პატარა სივრცეზე, ამიტომ ის განსაცვიფრებელ გამონაკლისს წარმოადგენს მთელი ამ ახალი ომის ისტორიიდან. მტრის მთელი როტები იღლი-ებიან თხრილებში, თითოეული ჩვენი ხიშტებით ბრძოლის დროს. ეს ბრძოლა ძლიერ წააგავს „ბოროდინოს“ ბრძოლასო.

## დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი** 20 იანვარს, ზღვიდან მდ. ლისამდი მტრის არტილერია უნაყოფოთ ცდილობდა ჩაეჩუმებია ჩვენი ბატარეები. არრასის სექტორში, მთელი ღამის განმავლობაში, ხდებოდა განუწყვეტელი სროლა, პერტლე-ბრიულესთან. ჩვენგან დაკავებულ ტყის რაიონში, წინსვლას განვაგრძობთ. არგონის სიმაღლეებზე მოვიგერიეთ მტრის იერიში. ვოგეზში საარტილერიო სროლა სწარმოებდა. ბრონოლების ახლოს, უფილცასთან ჩვენ წინ მივიწევთ.

ჰავასის სააგენტო იუწყება: ლისის ჩრდილოეთით, შესანიშნავი არაფერი მომხდარა—ლისსა და უაზის შუა, ჩვენმა ბატარეიამ ჩააჩუმა მტრის საშინელი თოფის სროლა. შემდეგ გერმანელებმა მდ. ანკრაზე გამოუშვეს ბრანდერები, მაგრამ ისინი ჩვენგან საჩქაროთ გაჩერებულ იქნენ, ასე რომ, ბრანდერებმა აფეთქება ვერ მოასწრო. უაზთან, ჩვენ წინ წავიწიეთ, მოვიგერიეთ მტრის იერიში და ტყვეები წამოვიყვანეთ. პერტის ახლოს გერმანელებმა ხელ-ახლა მოიტანეს იერიში, მაგრამ საჩქაროთ მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

### აფრიკაში.

**პარიზი.** ეკვატორიალური აფრიკის გუბერნატორი იტყობინება, რომ ფრანგების ჯარმა ორი დღის ბრძოლის შემდეგ ბერტუას პოსტი დაიკავა. ამ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამის შემდეგ შესაძლებელია განგრძობილი იქნას გერმანელების ჯარის გარშემოვლა.

**ბუენოს აირესი.** გაზეთების ცნობით, ავსტრიის კრეისერმა პატაგონიაში ჩასძირა გერმანიის მაშველი კრეისერი, „ვერმანი.“

**ლონდონი.** ოფიციალური მოხსენებიდან ჩანს, რომ გუშინ ინგლისის ჯარებს შეტაკება მოუხდათ ოსმალებთან იზმაილიის რაიონში. დიდიხნის არტილერიისა და თოფის სროლის შემდეგ, ოსმალებმა დაიხიეს მათ დაკარგეს მრავალი ჯარის კაცი და ერთი აფიცერი ინგლისელებს დაუტოვეს მხოლოდ 6 კაცი ოსმალების ჯარისკაცები ხშირათ ინგლისის ჯარში გადადიან.

### ზღვაზე და ჰაერში.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთები იტყობინებიან, რომ დასავლეთ ინგლისსა და ირლანდიის შუა შემჩნეული იყო ოთხი წყალქვეშა ნავი, რის გამოც გემებმა ზღვაში გამოსვლა სხვა დროისთვის გადასდვეს, ლივერპულის რეისზე ისევ მოძრაობაა. აქ ფიქრობენ, რომ ინგლისის ფლოტი საჩქაროთ გასწმენდს ირლანდიის ზღვასო. გუშინ, საღამოს, ლონდონში მოელოდენ მტრის აპაერში თავდასხმას, რისთვისაც მიღებულ იყო ზომები. მაგრამ ალიაქოთ ტყუილი გამოდგა, რადგან საჰაერო ფლოტი არსად არ გამოჩენილა. გაზეთები იუწყებიან, რომ გუშინდელი ზარბაზნის ხმა დუკლინის ნავსადგურებიდან, იყო მხოლოდ ერთი გემის გასაფთხილებლათ, რომელიც ნავსადგურში, უდროოდროს შემოდიოდა და არ მისთვის, ვითომ სადმე მტრის აეროპლანები გამოჩენილიყვნო.

**ლონდონი.** „ტაიმსის“ როტერდამის კორესპონდენტები იტყობინებიან, რომ ინგლისის სამხედრო გემი „ზენდლიცი“. ვილგელმსგაფენს ძლიერ დაზიანებული დაბრუნდა. მისი ეკიპაჟი განახევრებულიაო.

## სხვა და სხვა ამბები.

**ლონდონი. თემთა პალატა.** ასკვიტმა განაცხადა, რომ პალატის მთელი ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული მთავრობის კანონ-პროექტების განხილვისაკენ. მთელი ენერგია უნდა მოვანდომოთ ომის საკითხებს და ყოველივე სხვა, ამ მთავარ საკითხს უნდა დაუმორჩილოთო. ამ ნაირ დროს, სთქვა ასკვიტმა, ყოველნაირ უთანხმოება იქნებოდა წინაამდეგი საე როვნო საქმის სალი მოსწრებისო. მთავრობა მიმართავს მხოლოდ საჭირო ზომებს ომის განსაგრძობათო.

დღეს თ. უსუპოვმა ინახულა ინგლისის ჯარის მთავარი ბინა და წარუდგ ფელდმარშალ ფრენჩს, რომელსაც მეომრებისათვის გადასცა ხელმწიფე იმპერატორისგან გაგზავნილი ორდენები.

**სოფია.** ბულგარეთის ტახტის მემკვიდრე შევიდა ახლად გახსნილ სამხედრო აკადემიაში, რომელშიაც ის გაივლის მთელ კურსს, როგორც ბულგარეთის არმიის აფიცერი. გაზეთები აღნიშნავენ ამ ფაქტს და კმაყოფილებას გამოსთქვამენ, რომ ახალგაზდა მომავალმა მონარქმა, ახლავე დაიწყო სამხედრო საქმის შესწავლაო.

**პარიზი.** პრეზიდენტმა გამართა საუზმე ბარკისა და ლოიდ ჯორჯის პატივსაცემლათ, რომელზეც დაესწრნენ რუსეთისა და ინგლისის ელჩები და საფრანგეთის მინისტრები.

**პეტროგრადი.** შინაგან საქმეთა მინისტრი მაკლაკოვი დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრათ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### რუმინია.

გაზეთი „უნივერსალ“-ი ამოწმებს ავსტრია-რუმინიის უთანხმოების გაძლიერებას.

რუმინიის საზღვარზე ავსტრია-გერმანიის დიდძალი ჯარი სდგას, რომლის მთავარი ბინაც არადშია.

მიმოსვლა ავსტრიასა და რუმინიას შორის შეწყვეტილია. რუმინიამ ამგვარი საქციელის გამო განმარტება მოითხოვა.

ავსტრიამ უპასუხა: ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენი ყველა რკინის გზის ლიანდაგი დაკავებულია რუსეთისა და სერბიის

## წმინდა მოყვარეობა.

(მოთხრობა)

(აზრი ადებულია).

ახალგაზდა ჭაბუკმა სანდრომ აფიცრობა მიიღო. ეს დღე მისთვის უბედნიერესი დღე იყო. ძალზე გამოჭიმული ვიწრო მუნდირი ისედაც წერწეტა ტანს უფრო სწორს უჩენდა. ფართე ბეჭებიანი, ახლად ულვაშებ აყრილი საუცხოვო იყო სამხედრო ტანსაცმელში. ისე ამაყათ გამოიყურებოდა, თითქოს მზათ იყო დევებსაც კი შებრძოლებოდა.

სანდროს ეგონა, რომ მოკაშკაშე ვარსკვლავნი მხოლოდ მისთვის იცინოდენ და ბალში მუსიკაც მხოლოდ მისთვის უკრავდა. სანდროს სახეზე ღიმილი უკრთოდა.

ასეთ მხიარულ გუნებაზე იყო სანდრო, რომ შევიდა ბალში, სადაც მოცეკვავე ქალები იყვნენ. ამხანაგები მხიარულათ შეეგებენ სანდროს და იქვე მიიპატიჟეს.

უეცრივ სანდრომ სახის გამომეტყველება შეიცვალა. მომღიმარ სახეს ღრუბლები მოეფინა და მისი გული კაეშანმა მოიცვა. მთლათ გრძნობათ გადაიქცა. მთელი მისი ყურადღება სცენისკენ იყო მიპყრობილი. ფარდა ჩამოეშვა და სანდრო ამხანაგებს გაეპარა. მან გაბედვით შეაღო კულისების კარები, სადაც რამოდენიმე ახალგაზდა მოცეკვავე ქალი იყო გაჩერებული. მათ ეცვათ ლეჩაქის საცეკვაო კაბები; თხელი და ნაზი, როგორც ქალწულის უმწიკვლო ოცნება. სქელი ნაწნავები ბეჭებზე ეყარათ, სწორეთ რომ ფერიების მზგავსნი იყვნენ. მაგრამ მათში გამოირჩეოდა ნაზი ელენე, რომელიც განცალკევებით იდგა მოცეკვავე ქალებიდან, თითქო მათთან არაფერი აერთებსო. ეტყობოდა, რომ რაღაც შემთხვევას, ან ცხოვრების უკუღმართ ტრიალს აუძულებია ამ მოცეკვავე ქალებთან დაამხანაგება.

სანდროს თვალები ისარივით მოხვდა მშვენიერ ელენეს, რომელიც გაფითრებული, დარცხვენილი იდგა.

ელენეს ძლიერ ბევრი თაყვანისმცემელი ყავდა, მაგრამ იმდენათ თავდაცული იყო ეს ახალგაზდა ქალი, რომ ერთი შეხედვით, ერთი სიტყვით აგრძნობინებდა მათ, რომ ის ჩვეულებრივ მოცეკვავე და ქარაფშუტა ქარი არ იყო. მის ტოლებს თითქმის ეშინოდათ და ერიდებოდათ ელენესი, თუმცა თავის დღეში ერთი ხმა მაღალი სიტყვაც არ უკადრებია არავისთვის. არაერთხელ გაუკიცხავს და დაუგმია მათი უწესო, თავაშვებულსაქციელი და ახლა ეს რა ამბავია, რომ ეს თავხედი ახალგაზდა აფიცერი ეგრე შესცქერის ელენეს? აზრების მოკრება არ დააცალეს და სცენაზე გაიძახეს. სანდრო მარტოდ დარჩა კულისებში.

— თქვენ უთუოდ რომელიმე ჩემი ანგელოზის თაყვანისმცემელი იქნებით?— ჰკითხა რეჟისორის თანაშემწემ სანდროს.

დიახ, თაყვანისმცემელი ვარ, იმ ნაზ მოცეკვავე ქალის.

— ჰო, ვიცი, ვიცი, ალბათ მშვენიერ ელენესი, არა?

სანდროს ძლიერ გაუხარდა, რომ ნახა ადამიანი, რომლისგანც ბევრ რასმეს გაიგებდა ელენეს შესახებ. ამით წათამამებულმა ჰკითხა:

— დიდიხანია, რაც ელენე თქვენთან არის?

— არა, ეგ სულ ორი-სამი თვე იქნება, რაც სცენაზე გამოვიდა, მაგრამ მართალი უნდა მოგახსენოთ, ძლიერ ნიჭიერი ქალია. თანაც მეტისმეტი პატიოსანია. მთელ ოჯახს ეგ ქალი არჩენს. ყოველ დღე, წარმოდგენის გათავების შემდეგ მაგის დედა მოდის და მიყავს სახლში. კარგი ქალია ელენე, კარგი, აი დედამისიც მოვიდა. მობრძანდით ქალბატონო, გაიცანით თქვენი ქალის თაყვანისმცემელი.

გამხდარი, მოხუცებული ქალი მიუახლოვდა სანდროს და ზრდილობიანათ ხელი ჩამოართვა.

— დიდათ გმადლობთ, ბ-ნო აფიცერო, დიდათ გმადლობთ ყურადღებისთვის, მაგრამ მართალი უნდა მოგახსენოთ, არც მიხარიან, რომ ელენესთვის თავი შეგიწუხებიათ. ძლიერ ბევრნი არიან მლიქვლელნი და გარყვნილნი, რომელთაც ვერ დაენდობა ადამიანი, ისინი ყოველ ღონისძიებას ხმარობენ შელახონ და შებილწონ ქალწულის წმიდათაწმიდა... რომ იცოდეთ, როგორ მიყვარს და ვაფასებ ჩემს ჭკვიან გოგონას!- დაათავა ელენეს დედამ.

წარმოდგენა გათავდა. მოცეკვავე ქალები სიცილით გამოცვივდენ სცენიდან და თავიანთ საპირფარეშო ოთახებისკენ გაეშურენ. ელენეც გამოვიდა გადაცმული ჩვეულებრივ ტანსაცმელში. დედამ შვილი სანდროს გააცნო.

კარგმა ხანმა განვლო, რაც სანდრო და ელენე ყოველ დღე ხვდებიან და დღითი დღე უახლოვდებიან ერთმანეთს და იმდენათ დაუახლოვდენ, რომ მეგობრობა ნამდვილ წმინდა, ძლიერ სიყვარულათ გადაექცათ.

ელენე მთლათ ტრფობის ალში იწვოდა. მისი ნაზი და მგრძნობიარე სული მთლათ მომავალ ბედნიერების ფიქრებით იყო გამსჭვალული. ელენე დარწმუნებული იყო სანდროს სიყვარულში, მაგრამ არა ერთხელ მოიცავდა ხოლმე შავი ფიქრები მის გონებას და მწარე ეჭვებით შეპყრობილი თავს ეკითხებოდა. „სანდრო მაღალ წრის კაცია და ნუთუ გაბედავს შეუღლებას ჩემისთანა უმნიშვნელო ადამიანთან?“.

ელენეს ეჭვი არჩობდა, მაგრამ, სატრფოს დანახვით თავბრუ დასხმული ახალგაზდა არსება, რიგიან ანგარიშს ვერ უწევდა თავის თავს.

გამოცდილი და ჭკვიანი დედა ელენეს მეტათ სწუხდა, რომ მისი სიამაყე, მისი მოსწრებული ქალი შეიცვალა.

— შვილო, ყველა შენზე ალაპარაკდა, უთხრა ერთხელ ელენეს დედამ ჭკვიანი ქალი მყავდი და ამით ვამაყობდი. მესმის შენი მდგომარეობა და გთხოვ ნუ შემირცხვენ ჩემს მოხუცებულობას; დაქორწინდი შვილო!

ელენეს შერცხვა, მაგრამ მაინც მოიკრიბა ძალა და ძლიერ მკვახეთ უპასუხა.

— სანდრო ძლიერ კეთილშობილი კაცია, და ეჭვი არ უნდა გეპარებოდეს მის პატიოსნებაში. ხალხის ჭორებს ყურს რათ უგდებს ხომ გახსოვს, როგორ შეხვდენ ჩემს სცენაზე გამოსვლას? მკიცხავდენ, მქოლავდენ და ეხლა ხომ მთლათ ყბად ამიღებენ. ჩემო დედა, გჯეროდეს, სხვაზე უფრო ჩემი თავი მე მიყვარს და მე უფრო ვცთილობ თავი არ შევირცხვინო.

შვილის სიტყვებით დაიმედებული დედა აღარ სწუხდა და ელოდა მის ბედნიერებას.

ელენე და სანდრო ცხოვრობდენ ერთი ცხოვრებით, ერთი სიხარულით და მომავალს იმედიანათ შეჰყურებდენ, მაგრამ, მხოლოდ მწუხარებაა—ხანგრძლივი!

სანდროსი და ელენეს ბედნიერება დაირღვა.

როგორც ახალგაზდა მაღალი წრის ჭაბუკმა სანდრომ ვერ შესძლო თავისი ბედნიერებისა თვის ბრძოლა. ვერ დაახწია თავი საზოგადოებრივ ვიწრო აზრს, ვერ აიტანა ამხანაგთა გაკიცხვა, ვერ შეებრძოლა მშობლების რისხვას. და უთვითნებომ, მონამ საზოგადოების ყალბი აზრისა, ერთ უბედურ დღეს ელენე მიატოვა!

ელენე შეიქმნა მსხვერპლი სანდროს სულმდაბლობისა!

სულით მაღალი ელენე, ხანგრძლივ ტანჯვის შემდეგ, შეურიგდა თვის უმწეო მდგომარეობას. მან ზურგი შეაქცია ხალხის ლაყბობას. მას მხოლოდ კლავდა და სიცოცხლეს უმწარებდა დედის საყვედურები, მაგრამ რას იზამდა? ყოველივეზე სიჩუმით უპასუხებდა. მას აიმედებდა, მხოლოდ ნაყოფი სიყვარულისა, უდანაშაულო მსხვერპლი—პაწა ვაჟი.

ერთ უბედურებას მეორე მოყვა, ელენეს შვილი მოუკვდა. ამის შემდეგ კი იგი სულით დაეცა. ღრმა სწუხარებამ, სულიერმა ტანჯვამ თავისი დაღი დაასვა...

მოულოდნელათ ომი გამოცხადდა. ამ ამბავმა შეაძრწუნა ხალხი. მშვიდობიანი ცხოვრების მსვლელობა დაანგრია. ყოველი ადამიანი, განურჩევლათ სქესისა და

ფრონტზე ჯარის გადაყვან გადმოყვანითო.

რუმინიის მინისტრთა საჩქარო სხდომა მოხდა და გადასწყვიტეს, რაც უნდა დაუჯდეს რუმინიამ უნდა თავისი ინტერესები დაიცვასო.

საჩქაროთ გაგზავნეს სალონიკში თორმეტი ორთქლმავალი და ასი ვაგონი სამხედრო სურსათის გადმოსატანათ.

## ტიარკო რიშპენი.

კრანნთან უკანასკნელი ბრძოლის დროს დაიჭრა დრამატურგი ტიარკო რიშპენი, ცნობილი ჟან რიშპენის შვილი. ტიარკოს მამა შვილის სანახავათ წავიდა.

— —

ამერიკის პოლონელებმა გალიჩინისა და პოლონეთის დასახმარებლათ 20.000 მან. გამოგზავნეს.

— —

სამხედრო საქმის მცოდნე პირი გერმანიის ჯარის რაოდენობას არკვევს: დასავლეთის ფრონტზე 2.000.000 უნდა ყავდეს და აღმოსავლეთის ფრონტზე— 1.000.000 ჯარისკაცამდიო.

— —

„ბიულეტენი დე არმესი“ გვატყობინებს, რომ ომის დაწყებიდან გერმანელებს 2.000.000 ჯარისკაცი დაუკარგავთ. ვსთქვათ 500.000 ჯარისკაცი ჭრილობისაგან მორჩა, მაშასადამე, დახოცილთა რიცხვი 1.500.000 ჯარისკაცს არ უნდა აღემატებოდეს.

— —

გაზეთ „ბაკუს“ ალექსანდროპოლიდან ატყობინებენ, რომ ახალიკში ანდრიანიკის ბიძაშვილი რუსებს დაუტყვევებიათ, რომელიც ოსმალეთის ჯართან ერთად ომობდა.

— —

## იმპერატ. ვილჰელმი შარლევილში.

გაზეთი „პოლიტიკენი“ შარლევილში ში იმპერატორ ვილჰელმის ყოფნას გვატყობინებს, სადაც, როგორც ხმებია ამ ჟამათაც უნდა იყოს. იმპერატორის ბინა მშვენივრათ მოწყობილ სასტუმროშია მოთავსებული, მასთან მოწყობილია მრავალი სამუშაო კაბინეტი და დიდი სასადილო. ყოველ დილას ვილჰელმი ცხენით, ავტომობილით და ხან ფეხითაც დასეირნობს. ქალაქის მცხოვრებლები მოვალენი არიან კაიზერს სალამი აძლიონ, რომელიც დაჭრილ, როგორც ფრანგებისა, ისე გერმანელ მეომრებს ვარდების თაიგულს უძღვნის და ამით უნდა პატივისცემა დაიმსახუროს. ერთმა დაჭრილმა ფრანგმა აფიცერმა კაიზერს უარი უთხრა ძღვენზე: „არ მინდა, მადლობელი ვარ“!

გაზეთი გადმოგვცემს, რომ ვილჰელმის ცნობა ძნელია, ისე გამოცვლილაო. დღე და ღამ განუწყვეტლივ მუშაობს. ხშირათ ღელავს და ჰირვეულობსო.

## თ-დ. იუსუპოვის მისია.

გაზეთ „დეილი მეილის“ თანამშრომელი ესაუბრა თავად იუსუპოვს, რომელიც ლონდონში იყო და მინდობილი ჰქონდა უმაღლესათ განსაკუთრებული მისია. „რუსეთი ახლა ისეა გაერთიანებული და მტკიცეთ შეკავშირებული— სთქვა იუსუპოვმა,—რომ ისტორიას არ ახსოვს ასეთი კავშირი, მას ვერავითარი გარემოება ვერ დააბრკოლებს ომის დასრულებამდი იმოქმედოს თავის მოკავშირეებთან ერთად, თავისი მიზანის განსახორციელებლათ.

რაც შეეხება საყვედურს, რომელიც პეტროგრადში მყოფმა ინგლისის ელჩმა თავის სიტყვაში აღნიშნა, იუსუპოვმა სთქვა, რომ ასეთი სამარცხვინო ეჭვი რუსს არა აქვს, მთელმა რუსეთმა უაღრესათ დააფასა ინგლისის როლი ახლანდელ ომშიო.

შემდეგ თავად იუსუპოვმა მჭერმეტყველურათ დაასურათა მამაცური გმირობა, და მოთმინება ფრანგებისა, და ინგლისლების ჯარებისა. შეეხო აგრეთვე სერბიის ჯარს და, სხვათა შორის, სთქვა:

მე მსურს, რომ ინგლისის ერმა გაიგოს თუ რა გაჭირვებაში უნდა იმყოფებოდეს პატარა სერბიის ერი, რომელმაც სამჯერ ზედიზედ ომიანობის ქარცეცხლი გადაიტანა. მე თვით ჩემი თვალით ვიხილე მათი გაჭირვება და გამაოცა ამ ერის ერთსულოვნურმა მოქმედებამ: აღარ აქვთ იარაღი, ზარბაზნები, გოსპიტლები, მაგრამ თოფქვეშ მაინც ყველა სდგას, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლია. ყველა უფრო გასაკვირალი ისაა რომ ეს პაწაწინა ერი ღრმათ დარწმუნებულია, საბოლოო გამარჯვებაში.

შემდეგ თავად იუსუპოვი შეეხო რუსეთს და აღნიშნა ის ადამიანური გრძნობა, რომლითაც ამჟამათ გამსჭვალულია რუსის ხალხია ყოველი რუსის გლეხი სიამოვნებით მიდის ახლა ომში ისე, როგორც ეს „ჯვაროსნობის“ დროს ხდებოდა. დამერწმუნეთ, სთქვა მან, რუსის გლეხი, იმიტომ კიარ მიდის საბრძოლათ, რომ მას გერმანელები ეზიზღება, იმიტომ, რომ მას სურს დაამხოს მილიტარიზმი, რამდენათაც კი ამას შესძლებსო. ჩვენი ხალხი მზრუნველობით ეპყრობა ტყვეებს; დაჭრილებს კი სიბრალული უცქერისო. მე გადმოგქცემთ თქვენ იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მივიღე ერთ ერთ გოსპიტალში, სადაც დატყვევებულ და დაჭრილ ავსტრიელთა შორის ერთი დაჭრილი რუსის ჯარისკაციც იმყოფებოდა. ამ ჯარის კაცის დედას დართეს ნება შვილის სანახავათ სიარულისა. დედაკაცი შვილთან, დაიარებოდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, უვლიდა არა მარტო თავის შვილს, ყველა დაჭრილებს ერთნაირი ერთგულებით დილიდან დაღამებამდი. აი საიდან ჩანს, რომ რუსის ხალხი სთვლის საჭიროთ შეასრულოს თავისი კაცობრიული ვალი თავის მტრისადმი ადამიანური მოპყრობითო. ომი დასრულდება, სთქვა იუსუპოვმა, და დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისსა და რუსეთს შორის დამკვიდრდება განუწყვეტელი საუკუნო მეგობრობა. დამკვიდრდება მეგობრობა არა მარტო ორ სახელმწიფოს, არამედ ორ ხალხს შორისო. ჩვენ, დაათავა ირონიული ღიმილით იუსუპოვმა—ინგლისელი მეგობრები ბარბაროსებს გვეძახდნენ, მაგრამ თქვენ ახლა კი მიხვდით ბარბაროსები ვინ ყოფილაო.

## იტალიის ოფიციოზი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

ოფიციოზურმა „ჟურნალ დიტალიამ“ დაბეჭდა წერილი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, რომელშიც ამბობს, რომ ბუქარესტი ამჟამათ დიდმნიშვნელოვან მომენტს განიცდის, თუმცა მისი მდგომარეობა უკანასკნელ ფაზამდი ჯერ არ მისულაო.

შემდეგ წერილში ნათქვამია: „გერმანიისაგან რუმინიის შეშინება არაფერზე არაა დამყარებული. თუმცა ავსტრო-გერმანიის ჯარის ავსტრიის სამხრეთზე თავის მოყრა—მომხდარ ფაქტად უნდა ჩაითვალოს. ჯერჯერობით რუსეთის გალაშქრება ტრანსილვანიისთვის საშიში არ არის, ამიტომ რუმინიას შეუძლიან არ გამოვიდეს და ნეიტრალიტეტი დაიცვას ზამთრის ბოლომდი. ბუქარესტის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწენი გულახდილათ განაცხადებენ, სასურველი იყო რომ შევთანხმებულიყავით საერთო მოქმედებისთვის. ბულგარეთი მაკედონიის დაბრუნებას ლამობს. სოფიასა და ბუქარესტს შორის შეთანხმება, საზღვრის გამოსწორების გზით, არა თუ შესაძლებელია, ადვილი მისაღწევიც. სამაგიეროთ ძნელია და შეუძლებელიც სოფიასა ერთი მხრით და მეორე მხრით ბელგრადისა და ათინას შორის შეთანხმება. ამის გამო ბულგარეთის მდგომარეობა ამოცანას წარმოადგენს.

გენადიევის მისია რომში როგორც ჩანს, უნაყოფო გამოდგა. ამჟამათ იტალიას არ ძალ უძს, სერბია და საბერძნეთი აიძულოს ბულგარეთს რაიმე ტერიტორიის ჩამონაჭრები დაუთმონ. რუმინიის მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს იმ პოზიციას, რომელიც ბულგარეთს უჭირავს.

შემდეგ თავის წერილში იტალიასა და ავსტრიას შორის დამოკიდებულებას არკვევს.

„თავის უკანასკნელ წერილში გრაფი ანდრიში ახალს არაფერს ამბობს. ის ამტკიცებს, რომ იტალიისთვის ავსტრო-ჰუნგრეთის და გერმანიის გამარჯვება უფრო სასარგებლო იქნება, ვიდრე სამთა შეთანხმებისა. ამას გარდა, ანდრაში ირწმუნება, რომ ავსტრო-ჰუნგრეთი მზათაა იტალიას ტერიტორიის ჩამონაჭრები დაუთმოს, თუ იტალია თავისი მხრით თანახმა იქნება ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე ავსტრო-ჰუნგრეთის გავლენა და ტერიტორია გააფართოვოს. ეს ამტკიცებს იმას, რომ ავსტრო-ჰუნგრეთის პოლიტიკური წრეები იტალიის შესახებ საკითხებს წინანდელ სამთა კავშირის ხელშეკრულობის თვალსაზრისით არღვევენ, თითქოს ავსტრო-ჰუნგრეთი, რომელიც სერბიას დაეცა, რითაც ევროპის ომი გამოიწვია წინდაწინ იტალიასთან შეთანხმებულიყოს, თანახმათ სამთა კავშირის ხელშეკრულობისა. ეს საკმაოთ ამტკიცებს ავსტრო-ჰუნგრეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელთა ზნეობრივ სიმწიფეს, გინდაც გრაფი ანდრაში, რომელსაც უნდოდა, რომ იტალია ომის უბრალო მაყურებლათ დარჩენილიყო და იმის მოლოდინში უნდა ყოფილიყო, თუ გამარჯვებულნი როგორ გადასწყვეტდენ მის სვებედს, ანდრაშის ფიქრით, გამარჯვებულნი უეჭველათ ავსტრიელები იქნებოდენ. ევროპის დიდ სახელმწიფოებს სურთ თავისებურათ შესცვალონ ევროპის ქარტა, აგრეთვე აზიისა და აფრიკისა, რისთვისაც იტალიასთან წინასწარ შეთანხმებას არ საჭიროებენ, თუმცა სამთა კავშირის ხელშეკრულება ამას ავალებს, ამასთან იტალია არ უნდა ჩაერიოს არც სამხედრო სამზადისის დარგში, რომ ამნაირათ თავისი სვე-ბედი უზრუნველ ჰყოს. დაბოლოს ამ წერილში უარყოფილია ის ხმა, ვითომ ავსტრიამ გერმანიის ტრიენტი დაუთმო, რომელიც თავისი სახელით იტალიას გადასცემსო“.

წერილი იძლევა რჩევას, რომ ნეიტრალიტეტის მომხრეებს თავის სიხარულს ზომიერები ნუ გადააცდენენ და ომის მომხრეები კიდევ თავის საომარ გალიზიანებას საზღვარს დაუდებდენ. (უ. რ.)

# ახალი ამბავი.

დღეს ქალაქის თეატრში ვლ.-ალექსი მესხიშვილი და ნემოს მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ავადმყოფი ხალხი“, „დედის ერთა“ და „უჟმოს ოინები“. მონაწილეობს მთელი ლასი. ადგილების ფასები ჩვეულებრივია.

✦ **მგოსანი აკაკი.** ჩვენს სასიქადულო მგოსანს თანდათან უკეთობა ეტყობა. ხელფეხის მოძრაობა კიდეც დაიწყო. მას ენის სიდამბლეც ცილდება. მოსალოდნელია, რომ მგოსანი რამდენსამე დღის შემდეგ სრულიად კარგათ გახდება.

✦ ამ დღეებში თფილისიდან ჩამოვიდა სამოსწავლო ოლქის ინსპექტორი ბ-ნი სლავინსკი, რომელმაც 22 იანვარს დაათვალიერა? ხულა ქუთაისის სავაჟო გიმნაზია, 23 იანვარს სლავინსკი სათავადაზნაურო ... თულ გიმნაზიას ეწვია.

✦ 22 იანვარს ტყიბულიდან ჩამოიყვანეს და ქალაქის საავათმყოფოში მოათავსეს 4 მუშა. ისინი დაშავებულან ქვანახშირის საზიდავ ვაგონების გადაბმის დროს. ორი მათ შორის მძიმეთაა დაშავებული და მათი მორჩენა საეჭვოა.

✦ ხვალ, 25 იანვარს, ქალაქის თეატრში დრამატიული დასი წარმოადგენს ცნობილ პიესას „ყაჩაღებს“.

✦ 22 იანვარს ქუთ. ოლქის სასამართლომ გაზ. „აზრის“ ყოფილ რედაქტორს კ. ცერცვაძეს ერთი თვის ციხე მიუსაჯა.

✦ 20 იანვარს ს. კურსებში შესდგა წვრილი კრედიტის ამხანაგობის წლიური კრება, რომელსაც დაესწრო წვრილი კრედიტის ინსპექტორი ბ. ჯაფარიძე. გამოირკვა, რომ გამგეობას წლის განმავლობაში ენერგიულათ უმუშავნია და წმინდა მოგება დარჩენია 148 მანეთი და 77 კაპ.

✦ დღეს, 24 იანვარს, ქალაქ. თვითმართველობის დარბაზში 3 წლით იჯარით გაიცემა ქალაქის სასაკლაო და მიკროსკოპიული სადგური. დღემდის სასაკლაო იჯარით აღებული ჰქონდა დიმიტრი ჩილინგაროვს 18,000 მანეთად. საჯარო ვაჭრობაში მონაწილემ წინდაწინ 300 მან. უნდა წარადგინოს.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „განთიადის“ მეორე ნუმერი.

✦ დღეს, დ. ყვირილაში, ლექტორი ს. ქავთარაძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე „ახლანდელი ომის ნამდვილი მიზეზები“. ლექციას წაიკითხავს აგრეთვე ვ. ჯუღელიც.

✦ 20 იანვარს ბაზრის ზედამხედველის თანაშემწემ პ. კორძაიამ ოქმი შეუდგინა ხელზე მოვაჭრე თევდორე ბარკალაიას, დილით ადრე, რამდენიმე ტომარა სიმინდის ყიდვის გამო.

✦ დღეს, საზოგადო საკრებულოში გაიმართება მასკარადი, რომლის 25 პროცენტი მოხმარდება ჯარში გაწვეულთა ოჯახებს.

✦ გუბერნატორის კანცელარიის ცნობით ამ მოკლე ხანში ქუთაისში დაარსდება დროებითი კომიტეტი ქუთაისის გუბერნატორის—ბ. პოტულოვის თავჯდომარეობით, რომელსაც მიზნათ ექნება გააცილოს ქუთაისიდან დაჭრილები. ბ. გუბერნატორი სთხოვს ქალაქის მოურავს ჩიქოვანს, რომ ხსენებულ კომიტეტში წევრათ ჩაეწეროს.

---

წოდებისა, სცდილობდა რაიმე მსხვერპლი შეეწირა.

ამ საზოგადო მოძრაობამ ელენეზედაც იმოქმედა.

ელენემ გამოიღვიძა. იმანაც მოინდომა თავისი წვლილის შეწირვა. ერთი ხელის გაქნევით შავი ლეჩაქი ჩამოაფარა აწმყო და ნამყოს შუა. მოიშორა სული და გულის მღირღნავი დარდები და შეუდგა ახალცხოვრებას. ახალგაზდა უდროოდ დაჩაგრული ქალი მოშორდა ხალხს. გამოიცვალა საზოგადო ტანსაცმელი: თმა სადათ გადივარცხნა და თეთრი ირიბით შეიკრა; ტანზე გადაიცვა წითელ ჯვრიანი ხალთა და შეუდგა წმიდა მოვალეობას აღსრულებას. ეს წმინდა შრომის, ფართე და გონიერი მოღვაწეობის ასპარეზი სულიერ სიმშვიდის მომგვრელი შეიქმნა.

— ელენე დღე და ღამ ავათმყოფებს დასტრიალებდა თავზე. ყველას ალერსით და წმინდა ნათესაურის გრძნობით ეპყრობოდა. საავადმყოფოში მყოფ ელენეს არა ერთხელ მოაგონდებოდა ხოლმე თავის წარსული, მაგრამ მდგომარეობა და დრო არ აძლევდა ნებას ფიქრებისათვის თავი მიეცა, მოეკრიბა ყოველივე ერთად ... ა მწარე ნაღვლით შეპყრობილი გუ... ი, მხოლოდ ცრემლებით მოექარვებინა. ... ენე დავიწყებას აძლევდა ყოველივე ... სულს, მაგრამ განა შესაძლებელია ... ძანო შენს თავს, სანამ არსებობ და ... ი გიდგას, რომ დაივიწყო გათელილი ... პიროვნება? არა, ეს შეუძლე... ა, მაგრამ ელენე მთლათ და... ბამდის თავგანწირული შრომობ... ]თლათ გამსჭვალული იყო მოვა... ის ასრულებით. მისმა მღელვარე სულმა ნავსაყუდარი საავათმყოფოში ჰპოვა, ავათმყოფთა მოვლაში, მათდამი ნუგეშის ცემაში, დავრდომილთა მოვლაში და შეხვევაში ჰპოებდა სულიერ სიმშვიდეს.

ერთ საღამოს ელენეს ყურადღება მიიპყრო ერთმა ახლათ მოყვანილმა ავადმყოფმა, რომელიც თვალებ დახუჭული იყო და ძლივს სუნთქავდა. ავადმყოფს მოყვა ექიმი და მაღალი ტანის ქალი. ქალი სტიროდა, ექიმი აიმედებდა:

— ნუ შიშობთ ქალ ნო, ჩვენი და ელენე ისეთი გამოცდილი და გულკეთილია, რომ თქვენს ვაჟს თავის მზრუნველობას არ მოაკლებს.

ქალმა ლმობიერი თვალით გადახედა ელენეს. ამ უსიტყვო შეხედვაში ელენემ იგრძნო, რაც გამოიხატებოდა და მსწრაფლათ მიმართა:

— იმედი გქონდესთ, ჩემს ძალღონეს არ დავიშურებ. მიუახლოვდა ავადმყოფს რომ გონს მოსაყვანი წამალი მიეწოდებია, მაგრამ ელენემ უცებ უკან დაიხია, შეკრთა და ჭიქა ხელიდან გაუვარდა.

— სანდრო! ძლივს წარმოსთქვა აკანკალებულმა ელენემ, მაგრამ მალე გონს მოვიდა და უცებ მის თავში სხვადასხვა ფიქრებმა გაიელვა. სანდრო, მისი დამღუპველი, აქ არის, მის წინ... შური იძიოს... არა, შეჩერდა ელენე არა! უპასუხა თავის თავს და დაჭიმული ძარღვები, მხოლოდ ცრემლებით აუშვა, რომელნიც თვალის ქუთუთოზე ჩამოეკიდნენ.

ელენემ ძალა მოიკრიბა და ავადმყოფს ხელ მეორეთ მიაწოდა ჯანის მოსამატებელი წამალი. ავადმყოფმა ძლივს ამოისუნთქა.

დედა მივიდა შვილთან და დაეკითხა.

— სანდრო, შვილო სანდრო, როგორ ხარ! ავადმყოფი შეეცადა თვალები გაეხილა, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან ძალა არ შეწევდა.

— ბედნიერია ამის დედა, რომ გმირი შვილი ყავს.—სთქვა ექიმმა. ხუთი ჭრილობა აქვს; სისხლისგან იცლებოდა, მაგრამ მტრის დროშა მაინც წამოიღო. ყოჩაღია, ყოჩაღი! ნუ შიშობთ, ადვილათ გადიტანს. ამ საიმედო სიტყვებით გაისტუმრა ექიმმა ავადმყოფის დედა.

ელენეს ეხლა კი აღარ შეეძლო თავის შეკავება. ფარდა აიხადა და ერთი მოგონება მეორეთი იცვლებოდა. მოაგონდა უდარდელი წყნარი ცხოვრება. მოაგონდა სანდროს გაცნობა, მასთან გატარებული ბედნიერი წუთები; განშორება; შვილის სიკვდილი და... ეხლა მას უნდა მოუაროს. „დიახ მას უნდა მოუაროს“. დაბეჯითებით უპასუხა თავის თავს ელენემ...

„ყოველივე შურისძიება უნდა ჩავიკლა გულში. არ უნდა ქონდეს ალაგი დაბალ გრძნობებს“—ფიქრობდა ელენე. ცრემლები ამოიწმინდა; პირჯვარი გადისახა, აღაპყრო ხატისკენ თვალები, მოიდრიკა მუხლები და შეევედრა ხვთის მშობლის ხატს... „ღმერთო, მომეცი ძალა“-ო.

სამმა დღემ განვლო. ავადმყოფი უკეთ შეიქნა. პირველათ წყალი მოითხოვა. ელენემ მიაწოდა და რადგან ავადმყოფი ძლიერ სუსტათ იყო მისი თავი გულზე მიიყრდნო და წყალი დაალევინა. ავადმყოფმა დას თვალები მიაშტერა, თავს არ დაუჯერა და კითხა:—თქვენი სახელი?

— ვერ მიცან, ელენე?

— ელენე, ელენე! კანკალით იძახდა სანდრო და ხელს უჭერდა, შენ... აქ, ავადმყოფებში... როგორ...

— წყნარათ, სანდრო, წყნარათ იყავი, ნუ აღელდები. ექიმმა ლაპარაკი დაგიშალა. ავადმყოფი დაემორჩილა დას; უსიტყვოთ მიიტანა ტუჩებთან ელენეს ხელი და კოცნით აღუბეჭდა.

ელენე მთლათ ცახცახებდა; ცრემლები არჩობდა, მაგრამ თავი შეიკავა.

დღითი დღე ავადმყოფი უკეთ ხდებოდა. ელენეს ერთხელაც არ გაუვლია გულში შურისძიება. ერთხელაც არ მოუგონებია ავადმყოფისთვის მისი სისუსტე და არ უგრძნობინებია, თუ რამდენათ დაისაჯა მისი საქციელის გამო. ელენე იკლავდა ყოველივეს გულში და პატიოსნათ ემსახურებოდა მოვალეობას...

ავადმყოფი მორჩა და გამოსვლის დროც დაუნიშნეს. მოვიდა დედა ავადმყოფის. სანდრომ უამბო დედას ელენეს შესახებ.

— ჩემო დედა, მაგ არაჩვეულებრივ ქალის მზრუნველობას უნდა მივაწერო ჩემი ჯანმთელობის გამობრუნება, მაშინ, როდესაც მე ვარ მაგის წინ დამნაშავე და მერმე როგორი... სანდროს გული წაუვიდა.

— ნუ სწუხარ შვილო, შენს სასტიკ შეცდომას გავასწორებთ. მე ძლიერ მოხარული ვიქნები თქვენი შეუღლებით.

— ოჰ! საძაგელი ვარ, სუსტი და ბრმა; სხვისი ჭკუით მომქმედი. წყეული იყოს სხვისი განმსჯელი და მკიცხავი ხალხი. ძვირფასო ელენე არ მქონდა გამოცდილება; ვიწრო აზრისა ვიყავ ცხოვრებაზე. ეხლა შენ გმირი ხარ. შენს მაღალ სულოვნობას ვეთაყვანები. შენ ხარ სამაგალითო გულკეთილი ადამიანი, შენ მომენდვე და მე რით გადაგიხადე. მაპატიე ძვირფასო ელენე, შენს წინ დგას შენი მონა მორჩილი, მეგობარი. გთხოვ და გემუდარები ნუ მკრავ ხელს და გამოწვდილი ხელი ჩამომართვი. ელენეს ძალა ელეოდა, ფეხზე ძლივს იდგა. მისი ბედი ამ წუთში უნდა გადაწყვეტილიყო. წარმოიდგინა სიმდიდრე; მომავალი ცხოვრება; დედა და თვითონ უზრუნველყოფილი. მას დაუპირდაპირა სიღარიბე და წვალება. დიად სულიერ ბრძოლას განიცდიდა ელენე. სიმწრის ოფლი ასკდებოდა, ბოლმა არჩობდა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა და როდის როდის ელენემ მტკიცედ უთხრა: არა, სანდრო, მე ცოლათ ველარ გამოგყვები! შენ ბრძოლის ველზე გმირობა გამოგიჩენია, მაგრამ ჩემ წინაშე კი მხდალი და მატყუარა ხარ.

სანდრო მოსპო ამ სიტყვებმა.

გმირი საავადმყოფოდან გაეწერა. დასასვენებლათ მიცემული თავისუფლება უარყო და ისევ ომში წავიდა. ბრძოლის ველზე უნდოდა ჩაექრო გულის დარდები...

ღამეა. ავადმყოფებს მოსვენებით ძინავთ. ელენეს არ ძინავს. დღის მუშაობით დაღლილმა დაისვენა და ფიქრებს მისცა თავი. მწარე მოგონების სურათი ერთი მეორით შეიცვალა: აი, ბავშვობა, მისი საყვარელი ხელოვნება, სამოღვაწო ასპარეზი—სცენა; სანდრო, შვილი და შემდეგ აქ...

ელენემ გაიხედა იმ ალაგისკენ, სადაც სანდრო იწვა, მივიდა ცარიელ საწოლთან და ქვითინი, მწარე ქვითინი ამოუშვა.

— და, წყალი!—მოესმა ელენეს, ელენე ფიქრებიდან გამოერკვა, თვალებიდან მსწრაფლათ ამოიწმინდა ცრემლები და მოვალეობის აღსრულებას შეუდგა.

**თამარ ნადარ...**

✦ 27 იანვარს, დრამატიული საზოგადოება ქართულ თეატრში მართავს დრამატიულ-მუსიკალურ-სალიტერატურო დიდ საღამოს, რომლის შემოსავალიც გადადებულ იქნება საზოგადოების ფონდის გასაძლიერებლათ.

✦ როგორც ქვედა ქვიტირიდან გვწერენ, ამ ბოლო ხანებში იქ აღმოჩენილან ქურდ-ბაცაცები, რომლებიც ისედაც შევიწროებულ მშრომელ გლეხობას ტყავს აძრობენ. საჭიროა, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს სოფლის პოლიციამ.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამ ჟამათ თავის მუშებს ყველა ქუჩებში ხეებს აჭრევინებს. გიმნაზიის ქუჩაზე მდგომარე დიდი ხეები უკვე დასჭრეს.

✦ 23 იანვარს ქალაქის გამგეობამ ქუთაისის გუბერნატორს ქალაქის მოადგილის თანამდებობაზე დასამტკიცებლათ წარუდგინა პ. ი. მოსიძე.

✦ ქუთაისის ქალაქის პირველ აფთიაქს დეკემბრის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია 3735 მან. და 15 შაური. გასავალი ჰქონია: ჯამაგირებში 968 მ. წამლებში 1743 მ. და 65 კაპ., სპირტში—88 მ. ქალაქის გამგეობისათვის კი გადაუცია 660 მან.

✦ 22 იანვარს, კაზაკოვის ქუჩაზე გრიგოლ ივანეს ძე გველესიანის სახლს ცეცხლი გაუჩნდა. ზარალი 600 მან.

✦ ოზურგეთის ქალაქის გამგეობა სთხოვს ქუთაისისას, გაუგზავნოს მას ნამდვილი მისამართი იმ საზოგადოებისა, სადაც დაზღვეულია ქუთაისის ქალაქის აფთიაქი.

✦ გუშინ, ცუდი ამინდების გამო ქუთაისის ბაზარზე სოფლებიდან სანოვაგე თითქმის სულ არ შემოსულა.

✦ ქალაქის გამგეობა ეკლარის ქვის წარმოებას ისევ ოჯახური წესით შეუდგა.

# თფილისი.

თფ. ქართველ ქალთა მიერ გამართულმა ფულის შეგროვების დღემ საუცხოვოდ ჩაიარა. საზოგადოების გამგეობამ მხოლოდ წინა დღით გაიგო, რომ ფულის შეგროვება ნება დართულია მხოლოდ ერთ დღეს. ამიტომ განზრახული გეგმა, რომლის მიხედვითაც ფული უნდა შეეგროვებინათ უბან-უბან მთელი კვირის განმავლობაში, უარჰყვეს და სახელდახელოდ მოაწყვეს 21 იანვრის განმავლობაში ყველა უბანში ფულის შეგროვება. მიუხედავად საძაგელ დარისა, ქალ-ვაჟნი ყულაბებით დიდის ხალისით აგროვებდნენ ფულს ყველა უბანში, სულ განაპირა უბნებშიაც კი. ხალხიც საოცარის თანაგრძნობით ეკიდებოდა, განსაკუთრებით ღარიბულ უბნებში და მუშათა შორის. შუადღისას უკვე ბევრი ყულაბი იყო სავსე ფულით და შემგროვებელთ სხვა ყულაბები მისცეს. სულ დარიგებული იყო 288 ყულაბი, რომელიც ღამის 12 საათისათვის ყველა დააბრუნეს. შეგროვილ ფულის დათვლას გუშინ შეუდგნენ.

— **ქართულ თეატრის გარშემო.** წმინდა შემოსავალი პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექციისა, რომელიც 18 იანვარს ახალ კლუბის დარბაზში იყო წაკითხული, იყო 95 მან. 75 კ. ეს ფული გადაეცა ქართულ თეატრის აღმადგენელ კომიტეტს. ამავე სათეატრო ფონდის გასაძლიერებლათ 25 იანვარს ლექციას წაიკითხავს გრ. რობაქიძე.

— **ლექცია.** ქ. შ. წ. კითხვის გამავრც. საზოგადოების სალექციო სექციამ დაადგინა, 25 იანვარს სახალხო სახლში ქართულ ენაზე ლექცია მოაწყოს. წაიკითხავს პავლე საყვარელიძე შემდეგ თემაზე: „ეკონომიურ მეცნიერების ისტორიიდან".

— **სტიპენდიები.** შაბათს, 24 იანვარს, დანიშნულია ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების საადმინისტრაციო სექციის კრება იმ პირთა თხოვნების განსახილველად, რომელნიც დ. ზ. სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდიებს თხოულობდენ.

— **ახალი ჟურნალი.** ქ-ნმა ნ. დ. ჟღენტმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართოს მას, გამოსცეს თფილისში ყოველკვირეული იუმორისტიული ჟურნალი სახელად „ახალი მათრახი".

— **ახალი ტიპის საკაცე.** მის უდიდებულესობის კარის კამერ-იუნკერმა გრ. ად. ყარანგოზიშვილმა გამოიგონა ახალი ტიპის საკაცე, რომელიც გუშინ გამოსცადეს ქალაქის თვითმართველობის შენობის ეზოში. საკაცე ადვილი სახმარებელია. ერთერთ მის დიდ ღირსებას შეადგენს ის, რომ დანიშნულ ადგილამდე, დაჭრილის მიყვანის შემდეგ, დაჭრილის მიმყვანს შეუძლიან დაკეცოს საკაცე, ცხენზე წინ დაიდოს და სწრაფად დაბრუნდეს სხვა დაჭრილის მოსაყვანად. საკაცე საერთოდ მოეწონათ დამსწრეებს. გამოცდას დაესწრენ: ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი, ხმოსნები პ. ა. გოთუა, თ. დ. ლ. ვაჩნაძე და სხვანი.

# ომში მოკლული და დაჭრილი ქართველები.

### ქ. ბ ა თ უ მ ი.

**„ნობელის" დიდი ლაზარეთი (შავი ქალაქი).**

კილხიაშვილი ადამ ბებას ძე, სოფ. არმაზი, დუშეთის მაზრა; ფეხი აქვს დამზრალი. ტაბატაძე სერგეი ეფრემის ძე, სოფ. ბერეთისა, შორაპნის მაზრა; ფეხი აქვს დამზრალი. ჭანტურიძე სტეფანე სტეფანეს ძე, სოფ. ჭერემი, სიღნაღის მაზრა; ქარები სჭირს და ფეხი აქვს დამზრალი. ბიტარაშვილი ისააკ ათანას ძე, სოფ. ქვიტირი, დუშეთის მაზრა; გული და ფერდები სტკივა. ქიტიაშვილი ვასილი სოლომონის ძე, სოფ. კეხი-ჯვარი, გორის მაზრა; მარცხენა ხელის ნეკი აქვს მოწყვეტილი.

**„წითელი ჯვრის" ლაზარეთი.**

ტოროშელიძე ივანე გრიგოლის ძე, სოფ. სხავა, რაჭის მაზრა; ფეხი აქვს დამზრალი. გაჩლავაშვილი რაჟდენ გაბრიელის ძე, სოფ. რენი, გორის მაზრა; დაჭრილია თეძოში. წულაია ნიკიფორე თომას ძე, სოფ. საწულუკიძეო, ქუთაისის მაზ., დაჭრილია ფეხში. ჭანტურია პლატონ ბეჩუნას ძე, სოფ. კვათანა, სენაკის მაზრა; ხელშია დაჭრილი, მაღარაძე კოტე მიხეილის ძე, ქ. თფილისი; ფეხი აქვს ნაღრძობი. იოსებაშვილი დიმიტრი მიხეილის ძე, სოფ. ახმეტა, თიანეთის მაზრა. აბესაძე ნიკო ლაზარეს ძე, სოფ. ჭერემი, სიღნაღის მაზრა.

**პირველი ქალაქის ლაზარეთი.**

აბრამაშვილი ალექსი გრიგოლის ძე, ს. თეზერი, გორის მაზრა; ფეხი აქვს დამზრალი.

**ქალაქის მესამე ლაზარეთი.**

ფუკაშვილი ვასილ როსტომის ძე, სოფ. აბისი, გორი მაზრა; ფერდები სტკივა. შაშიაშვილი გიორგი გრიგოლის ძე, სოფ. ჯიმითი, სიღნაღის მაზრა; მკერდი სტკივა. ნესვლიძე შალვა კონსტანტინეს ძე, სოფ. ხვარბეთი, ოზურგეთის მაზრა. ფოფხაძე ივანე გაბრიელის ძე, სოფ. გორის ჯვარი; შინაგანი ავადმყოფობა. კენჭიაშვილი მიხეილ აბრამის ძე, სოფ. ნოსტე, გორის მაზრა; თავი სტკივა. ელიავა სიმონ ყარამანის ძე, სოფ. ნაესაკოვო, სენაკის მაზრა; ქარები სჭირს. თაბაგარი გიორგი ვასილის ძე, სოფ. დიღომი, თფილისის მაზრა.

**ქალაქის მეათე ლაზარეთი.**

ცაგურია ყარამან მურზას ძე, სოფ. ნაბაკევი, ზუგდიდის მაზრა; დაჭრილია მარჯვენა ფეხში. პაკსაშვილი ვლადიმერ რომანის ძე, სოფ. ამაშუკეთი, შორაპნის მაზრა; დაჭრილია მარჯვენა ხელში. კურტანიძე იოსებ მაკარის ძე, სოფ. ამაშუკეთი, შორაპნის მაზრა; დაჭრილია მარცხენა ხელში.

მისამართი: ბაქო, ქართული სკოლა.

P. S. ზემოხსენებულ სკოლას მოსდის წერილები დაჭრილთათვის გადასაცემად. ვსთხოვთ ყველას მისამართზე აღნიშნონ ხოლმე, რომელ ლაზარეთში იმყოფება ის პირი, რომელსაც წერილი უნდა გადაეცეს, ეს უსათუოდ საჭიროა, რათა წერილი თავის დროზე და ჩქარა გადაეცეს დაჭრილებს.

**თფილისის რკინის გზის საავადმყოფოში.**

მაისურაძე ივანე გიორგის ძე, სოფ. წედისი, რაჭის მაზრა, დაჭრილია მუუბუქად ხელში. მარანელი ივანე გიორგის ძე, სოფ. ახალსოფელი, გორის მაზრა, დაჭრილია მარცხენა ხელში. ქავთარაძე მიხეილ უჩანას ძე, ძველი სენაკი, ქუთაისის მაზრა. დაჭრილია მარცხენა ბეჭში. ბზიბზინაძე მაკარ იასონის ძე, შ. ირაპანი. დაჭრილია მძიმედ ორივე ფეხში. ჩხეიძე ბესარიონ გიორგის ძე, ხუნცი, სენაკის მაზრა, დაჭრილია მარჯვენა ფეხში. შავლეოხაშვილი გიორგი იოსების ძე, სოფ. მერეთი, გორის მაზრა, დაჭრილია მარცხენა ხელში (ორი თითი აქვს მოჭრილი). კეკელიძე კარპეს (კოწია) ივანეს ძე, სოფ. ბჟოლიეთი, ერკეთის საზოგადოება, დაჭრილია მარცხენა ფეხში. ძვალი აქვს გატეხილი შრაპნელით.

# დაბა-სოფელი.

**ს. მანდაეთი,** (შორაპნის მაზრა). ეს სოფელი ჭიათურიდან 20-25 ვერსით არის დაშორებული და ეკუთნის ჩხირაულის საზოგადოებას. თვით ჩხირაულის საზოგადოება რამდენიმე სოფლისგან შესდგება. მთელ საზოგადოებას აქვს ერთად-ერთი ორკლასიანი სასწავლებელი, რომელიც სრულებით ვერ იტევს ამ საზოგადოების შემადგენელ სოფლების მოსწავლეთა რიცხვს. და კიდევაც რომ მოთავსდეს ამ სასწავლებელში ყველა მოსწავლე, მაინც მოუხერხებელია სკოლით სარგებლობა, განსაკუთრებით იმ სოფლებისთვის, რომელნიც სასწავლებლიდან დაშორებული არიან 5-6 ვერსით. სოფელი მანდაეთიც ასეთ სოფელთა რიცხვს ეკუთვნის და მიტომაც არის, რომ სასწავლებელში ძალიან ცოტა და, შეიძლება ითქვას, სულაც არ დაიარებიან ამ სოფლის შვილნი. თვით სოფელ მანდაეთში 240 კომლამდი მცხოვრებია და მათ თავისუფლათ შეუძლიათ თავის სოფელშივე გახსნან ერთკლასიანი სკოლა და მით თავის შვილებს წერა-კითხვა მაინც ასწავლონ. სიმართლე უნდა ითქვას და ამ სოფლისთანა ჩამორჩენილ სოფლათ ზემო იმერეთში, მგონი, არც ერთი სოფელი არ უნდა იყოს. დროა ახლა მაინც ჩაუფიქრდენ მკვიდრნი ამ საქმეს და მომავლისთვის მაინც იზრუნონ რამე სკოლის გახსნისთვის. თუ კი მეზობელი სოფელი წასრი, სადაც მხოლოდ 70 კომლამდი მცხოვრებია, ახერხებს მომავალი წლიდან სკოლის გახსნას, ეს უფრო შესაძლებელი და მოსახერხებელია ს. მანდაეთისათვის.

მართალია, მოინტელიგენტო პირების რიცხვი ამ სოფელში ძლიერ მცირეა და სულაც არ არის, გარდა მღვდლისა და იმ მასწავლებლებისა, რომელნიც აღნიშნულ სასწავლებელში მსახურობენ, მაგრამ ამ პირებსაც შეეძლოთ ამ საქმისთვის ყურადღება მიექციათ, სოფლისთვის მეთაურობა გაეწიათ და სკოლის გახსნის საქმე მოეგვარებიათ ამდენხანსაც.

**ლეო.**

# მატარებელთა მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია ქუთაისის საათით).

**ქუთაისში მოდის:**

| | |
|---|---|
| **თფილისიდან** | 5 ს. 50 წ. დილით. |
| | 11 ს. 30 წ. ღამით. |
| **ბათომიდან** | 10 ს. 5 წ. დილით. |
| | 2 ს. 23 წ. ღამით. |
| **ფოთიდან** | 10 ს. 30 წ. დილით. |

**ქუთაისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| **თფილისში** | 7 ს. 55 წ. დილით. |
| | 1 ს. 7 წ. ღამით. |
| **ბათომში** | 10 ს. 7 წ. საღამოს |
| | 4 ს. 27 წ. დილით. |
| **ფოთში** | 4 ს. 14 წ. დღით. |


**კალიგრაფიის** (ლამაზი და ჩქარი წერის) **კურსები.**

(ნებადართულია მთავრობისაგან)

ვ ა ს წ ა ვ ლ ი წერისხელს და აგრეთვე ვასწავლი პირისპირ და დაუსწრებლადაც: კალიგრაფიას, ჩქარ წერას, ვინიეტებით წერას რონდშრიფტს, გოტიურ-წერას და მტაილშრიფტს ლამაზ მხატრობიანს; აგრეთვე ვამზადებ კალიგრაფიის მასწავლებლობისათვის.—სამსახურში შესასვლელათ ვასწავლი საკანტორო კომერციულ ჩქარ-წერას და ყოველგვარს აუცილებელ ნიმუშს, წესრიგსა დ შრიფტს.—სულ უსწავლელს 15 გაკვეთ. ვასწავლი ლამაზ წერას და ნაწერების წაკითხვას; აგრეთვე ვკისრულობ

**ადრესების, დიპლომების და ხელმწიფის**

თუ საზოგადოთ უმაღლეს პირთა სახელზე თხოვნების წერას.—კალიგრაფიის კურსებზე შემოსვლა ორივე სქესის ყოველი ასაკის პირებს შეუძლიათ, 8 წლიდან დაწყებული ვიდრე ღრმა სიბერემდი. საღამოს კურსები 4 საათ. 9-მდი.

კალიგრაფიის მასწავლებელი **ი ვ. მ ი ხ. ც ი ნ ც ა ძ ე.** კაზაკოვის ქუჩა, სახლი 13.

თ.



**ქ უ თ ა ი ს შ ი**

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუღალტერო კურსები**

**გ. გ. გიგინეიშვილისა.**

1915 წლის იანვრიდან კურსებზე იხსნება მეორე—პარალელური ვანყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიშში.

კ უ რ ს ი ა თ თ ვ ი ა ნ ი ა.

**სწავლის ფული ასი მან.**

თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე **გ. გ. გიგინეიშვილი.** თ.



ფოთის ახალ მაღაზიაში **„უნივერსალ"**

**ქარვასლის ქუჩაზე, პრავადნიკის პირდაპირ**

**მაღაზიაში იყიდება მაღაზიაში**

**უკანასკნელ მოდების, გალანტერეის, შლიაპების და ხელსაწარმოების საქონლები:**

სხვა და სხვა კრუჟევები, ტილოები, ვსტავკები, საყელოები, აგრამანტები, ფულაქები, ვიშივკები, ცხვირსახოცები, ჩულქები, ფუფაიკები, ხელთათმანები, კაცის პერანგები და საყელოები, კორსეტები, ხალათები, იუპკები, ქალების, ბავშების და მოწაფეების შლიაპები და ბევრი სხვა საქონელი.

რადგანაც დუქანში ბევრი ადგილი აღარ გვაქვს ქალების შლიაპებზე და შეკერილ საქონლებზე ფაბრიკის ფასი **დაკლებულია 50%**

თ. **პატივის ცემით აინბინდერი.**



ს. ს. **ი. გოკიელის** შ-ბის **ქუთაისში**

ერთადერთი წარმომადგენელი მთელი ამიერკავკასიის ცნობილი

**აბრეშუმის ჭიის თესლის**

**ხ. ხრისტოდულიდის**

ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ

**ახლო მომავალში დაიწყება დაკვეთა ზემოაღნიშნულ ფირმის აბრეშუმის თესლზე.**

**ფასი და პირობები ცალკე გამოცხადებული იქნება.** თ.



**თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება . . . . . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . . . . 20 „
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი შკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . . . 15 „
4) ქართული მოძრავი ანბანი ქაღალდზე . 10 „
„ იგივე, კარდონზე გაკრული . . 25 „
„ იგივე, ორ და სამ-კომპლექტიანი . 50 „
5) ს. ყიფიანი. შაქარას ნაამბობი . . 3 „
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона Божія . . . 20 „
7) ს. გორგაძე. საქართველოს ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . . . . . 35 „



**აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და შკოლებში საკითხავი წიგნი, შედგ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის მიერ, სურათ., მესამე გამოც., ყდით . 85 „
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყებით შკოლებისათვის, ყდით . 20 „
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . . . . . 50 „
4) არქიმ. ნესტორი (ყუბანეიშვილი,) პირველდაწყებითი დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . . . 30 „
5) ა, ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . . . . . 50 „
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე-XIX ს. ქართ. ლიტერატურის შესახებ. ტ. I. . 70 „
7) მისივე. იგივე. ტ. II. . . 70 „
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი, ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . . . . 20 „
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., ყდით . . . . . 15 „
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყდით . 60 „
11) ნ. ნიკოლაძე. ჩემ პოლიტიკაზე . 10 „

რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ. თ.